ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3657985

ნომერი: AR1552735

თარიღი : 27.10.2017

გაცემის თარიღი : 03.11.2017

გაცნობის თარიღი : 03.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 22 / ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 24 / ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 24 , (ნაკვ. 20/52) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა ლეკიაშვილი პ/ნ 01017013777
- თბილისი კ.მესხის ქ. N 15

ორგანიზაცია:

- იქს ვაი ზეტ არქიტექტსი კოდი: 204566656

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 18 ოქტომბრის #1597 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 27 ოქტომბერს AR1552735 განცხადებით სამსახურს მომართეს შალვა ლეკიაშვილმა და მიხეილ კვესაძემ, რომლებმაც მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 18 ოქტომბრის #1597 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, ფუნქციის დამატების მიზნით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ –ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 18 ოქტომბერს, ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, გოძიაშვილის ქ. #22/გოძიაშვილის ქ. #24–ში (საკადასტრო კოდი: #01.10.10.020.114; ფართობი: 3578.00 კვ.მ.) პურის საცხობი-მაღაზიის აშენების მიზნით დამტკიცდა #1597 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული პირობების საფუძველზე, საპროექტო მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2013 წლის 11 ნოემბრის №989054 ბრძანებით, ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, კერძოდ: ძველი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა შეიცვალა ახალი საკადასტრო გეგმით და ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის №882013300041, მომზადების თარიღი: 02.07.2013წ; საკადასტრო კოდი №01.10.10.020.125, ფართობით: 3562 კვ.მ.). საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: პურის საცხობი-მაღაზია და სასაწყობე ობიექტი, ფუნქციას დაემატა დამხმარე ფუნქცია.
სამსახურის 2015 წლის 12 ივნისს №1931778 ბრძანებით, ისევ შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 18 ოქტომბრის #1597 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობად მიეთითა-3712 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდა-#01.10.10.020.148.
ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს, მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი საკადასტრო მონაცემების ასახვას ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 18 ოქტომბრის #1597 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ობიექტის ფუნქციად არსებული მრავალფუნქციური შენობის რეკონსტრუქცია (პურის საცხობი, სასაწყობო და სავაჭრო).
დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია ხსენებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში აღნიშნული ცვლილების განხორციელება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 18 ოქტომბრის #1597 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: არსებული (9(3) შენობის) მრავალფუნქციური შენობის რეკონსტრუქცია (პურის საცხობი, სასაწყობო და სავაჭრო).
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 18 ოქტომბრის #1597 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს საკადასტრო გეგმა: (განცხადების ნომერი: #892017003985; მომზადების თარიღი: 25/10/2017), საკადასტრო კოდად დაფიქსირდეს: #01.10.10.020.182; ფართობად: 3864 კვ.მ.;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 18 ოქტომბრის #1597 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;
- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენლებით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების” და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;

- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.